## იოსებ დავითაშვილის სურათზე

განწირულო, ცხოვრებას
ოცნებანი არჩიე,
ხეზე სჭრიდი ფრინველებს,
ყვავილებს და არშიებს.

სველი ყანა გიყვარდა,
სოფლის სუფთა ღრუბელი,
ბურბუშელის ჩანჩქერი
და ლექსი დამღუპველი.

ლექსი რაღად გინდოდა,
უბედურო ხარატო ?
არ იცოდი, ოცნება
ხშირად გულსაც ღალატობს

არ იცოდი. დიდებას
ბევრი ცრემლი სჭირდება?
გადაგჩეხეს, დაგღუპეს,
წითელგულა ჩიტებმა

იალქნების მკერვალი,
ჯეჯილების დარაჯი,
რა ცახცახით დამიწდი
დახეულ სუდარაში

უძეგლო მომღერლებო,
თქვენ სახელს ვინ გამთიშავს.
მტვერიმც მომენატრება
თქვენი ჩოხის კალთისა!